

საგადასახადო სიახლეები

ცვლილება მოგების დეკლარაციის შევსების წესში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს N300 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში. ცვლილება შეეხო მოგების დეკლარაციის ფორმის შევსების წესს.

პირველ რიგში შეიცვალა 16.1 სტრიქონის შევსების წესი, რომელშიც აისახება წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი. ცვლილებით დამატებით განისაზღვრა დივიდენდების განაწილება, რომელიც უნდა იყოს შეტანილი აღნიშნულ სტრიქონში, ეს არის: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, კომანდიტურ საზოგადოებაზე, შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივზე 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის აღნიშნულ პირებზე განაწილება.

ასევე დამატებით განისაზღვრა რა არ უნდა იყოს შეტანილი აღნიშნულ სტრიქონში, ეს არის:

▶ 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდის მიმღები „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირისა) მიერ მისი შემდგომი განაწილება;


▶ 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება;

▶ 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან კომერციული ბანკისგან, საკრედიტო კავშირისგან, სადაზღვევო ორგანიზაციისგან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდისგან მიღებული დივიდენდის განაწილება.

ცვლილებით ასევე დაკონკრეტდა, რომ მოგების გადასახადის დეკლარაციაში არ აისახება ასევე:

▶ სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსა და საქართველოს ეროვნულ ბანკთან განხორციელებული ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი ფასთა სხვაობა.

▶ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა.



ავტორის სპეზი

პუბლიკაციაში მოცემულია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლეები და ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომელმაც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პროფესიონალებს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად.

მისილ ანუკიძე
menukidze@bdo.ge

ნაიკითხეთ მეტი www.bdo.ge

▶ დეპოზიტების დამღვევის სააგენტოსა და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმისა და აგანის გადახდა, მათთვის სესხის გაცემა ან/და ამ პირების მიმართ არსებული მოთხოვნის შესყიდვა და მათთვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნაზე უარის თქმით წარმოშობილი ზარალი.

▶ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე განთავსებული აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა არარეზიდენტის ან სსკ-ის შესაბამისად მოგების გადასახადის გადახდისგან გათავისუფლებული პირის მიერ.

▶ საქართველოში გადახდის წყაროსთან დაბეგრილი პროცენტიდან ბიუჯეტში გადახდილი გადასახადის თანხა, რადგან სსკ-ის მიხედვით მოგების გადასახადის გადამხდელ იურიდიულ რეზიდენტ პირს პროცენტი წყაროსთან აღარ უკავდება.

აღნიშნული ცვლილება გამოიწვია საგადასახადო კოდექსში, მოგების გადასახადის ნაწილში შეტანილმა ცვლილებამ.

დეკლარაციაში შესატანი მონაცემი, რომელიც მოიცავს სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფის თანხას შეიცვალა სესხის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის თანხით.

ამ შემთხვევაში მოგებით დასაბეგრი ობიექტის თანხა შეადგენს სესხის უზრუნველსაყოფად საბანკო ანგარიშზე განთავსებულ თანხას.

დეკლარაციის მე-3 ნაწილს დაემატა დანართი N11, რომელიც ივსება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის მიხედვით ჩასათვლელი თანხის კორექტირების მიზნით. ამასთან, კორექტირებას ადგილი აქვს შემდეგ შემთხვევებში:

▶ 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული მოგების გადასახადის გადახდა განხორციელდა ამავე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ, ან/და

▶ 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით მოგების გადასახადის დარიცხვა განხორციელდა ამავე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ.

ცვლილება ძალაშია 2017 წლის 5 სექტემბრიდან.

ეს პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ შპს „ბიდიოს“ პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს „ბიდიო“, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სავაჭრო სახელი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.